პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 123 (12635) | კვირა, 26 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

გამარჯობა, ღვაწლმოსილო საწარმოვ!

გუშინ, 25 მაისს პლეხანოვის სახელობის კლუბში კაიმარეთა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივობის კრება, მიძღვნილი თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის - ასოციაციის 80 წლისთავის იუბილესადმი. კრება გახსნა საქარხნო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ს. თოხაძემ. მოხსენებით ქარხნის კოლექტივის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ გამოვიდა ქარხნის უფროსი გ. მაცაბერიძე.

თბილისის ინდუსტრიულ საწარმოთა კოლექტივების სახელით იუბილარი საწარმოს კოლექტივს მიესალმნენ: საორთქლმავლო დეპოდან — ს. ოდილავაძე, ელმავალსამშენებლო ქარხნიდან — აპ. მასხარაშვილი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნიდან — მ. იმერლიშვილი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნიდან — შ. ფირცხალავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტიდან — აპ. ნუცუბიძე, საქართველოს მწერალთა კავშირიდან — ს. წვერავა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაშაძემ გამოაქვეყნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები ქარხნის მოწინავე ადამიანთა დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ს. კოტენიძემ დაჯილდოებულთ გადასცა ჯილდოები.

საიუბილეო კრებას დაესწრნენ ამხანაგები: გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუშაკა, რ. ი. ფრუნძე.

□ □

გუშინ, 25 მაისს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას არსებობის 80 წლისთავი შეუსრულდა.

რამდენ ჭირვარამზე, რამდენ სიდუხჭირეზე, რევოლუციურ ქუჩა-ქუჩებზე, თავისუფლებისათვის თავგანწირულთა დაღვრილი რამდენი სისხლის მორევზე, ხოლო შემდგომში შემოქმედებითი შრომით მოპოვებული სიხარულის, ვინ მოთვლის, რამდენ განცდაზე მოგვითხრობდნენ ქარხნის კედლები, მეტყველება რომ შეეძლოთ! მოგვითხრობდნენ ისინი ომის თაობაზე, თუ რამ აიძულა მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი, რომ მაინცდამაინც თბილისში, საქართველოს გულში მოაწყვეს ამიერკავკასიაში პირველი, ყველაზე მთავარი რკინიგზის სახელოსნოები, რაც შემდეგ სანანგრევად დარჩათ. თურმე ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა ამიერკავკასიის ხალხთა დასამონებელი, შავრაზმელ რუსიფიკატორთა ციტადელი, ხოლო მიიღეს თვითმპყრობელურ და კლასობრივ უსამართლობასთან დაუდგარი ბრძოლის კერა. ვერც სახრჩობელებით, ვერც ციმბირში, გადასახლებით და ვერც ჟანდარმთა თვითნებური ქუსლით ვერ ჩაჭრეს მეფის დერეფმორდებმა ცხრაას ჩვიდმეტის დიდი ოქტომბრის ხანძრის მაუწყებელი, ხალხის გულში ანთებული ცეცხლი.

აქ, ამ დაბალი, ყაზარმულ სტილზე ნაგები კორპუსების კედლებს შორის იბეჭდებოდა თბილისელი მუშების ნებისყოფა ცარიზმთან და კლასობრივ მტერთან ბრძოლაში გამარჯვებებისა, აქედან წამოვიდა გაფიცვების ტალღა, რომელმაც სეისმური სიმძლავრით შეატორტმანა თვითმპყრობელობა ჯერ 1886 წელს, შემდეგ 1887, 1889 და 1900 წლებში. სამი წლისა იყო ეს საწარმო, მისმა კოლექტივმა 1886 წელს პირველი გაფიცვა რომ გამოაცხადა.

რა დიდებული, ისტორიაში ნამდვილად ოქროს ასოებით ღისანიშნავი წარსული აქვს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას. სხვა, ასეთი უხუცესი, ასეთი დამსახურებული, ასეთი გმირული ტრადიციების საწარმო საქართველოს იხდუსტრიას არ გააჩნია.

აქ ჩამოყალიბდა პირველი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები, აქ მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი პრეზიდენტი, ტაბილი და ყველასათვის საყვარელი, გულმართალი ადამიანი მიხეილ იავნეს-ძე კალინინი. აქ, ამ ქარხანაში მუშაობის დროს დაწერა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა და საბჭოთა ლიტერატურის მამამთავარმა მაქსიმ გორკიმ თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

ნაცნობი, პატივისცემის გრძნობით მოსახსენებელია ეს ქარხანა საქართველოს ყველა მშრომელისათვის, ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შემთხვევა ემგზავრა ბაქოდან თბილისამდე და შემდეგ ბათუმამდე, ფოთამდე, სოხუმამდე ან აღმოსავლეთით კახეთისაკენ, ზღაპრული და განუმეორებელი ალაზანის ველის ქალაქებისაკენ. მათი მგზავრობის უსაშიშრობის გარანტიაა არა მარტო მეორთქლმავლეების, დისპეტჩერებისა და მელიანდაგეების სიფხიზლე, არამედ ამ ქარხნის კოლექტივის მიერ გულდასმით, ერთგულად და ბეჯითად შეკეთებული მოძრავი შემადგენლობაც — ორთქლმავლები და ვაგონები.

შეუძლებელია ამ ქარხნის კოლექტივის დამსახურების დავიწყება. მარტო საბჭოთა ხელისუფლების წლებში მან სამშობლოს უამრავი დოვლათი შესძინა. აქ შემოიღეს და ითვისეს, პირველად საბჭოთა კავშირში, თანამედროვე, გაუმჯობესებული ლოკომოტივების — ელმავლების შეკეთება, აქ მოამზადეს ის კადრები, რომლებმაც მთელი რესპუბლიკა ასახელეს რუსთაველ ლითონისა და ქართული ელექტრომავლების გამოშვებით, სამშობლოს პირსისხლიანი მტრების — ჰიტლერელი დამპყრობლების გასანადგურებლად საომედო იარაღის გამოჭედვით. ამ ქარხნის კოლექტივმა დაუდო საფუძველი რესპუბლიკის ინდუსტრიის ზრდას და ამიტომ არის, რომ ახლა რომელ საწარმოშიც უნდა იკითხოთ, ყველგან შეხვდებით თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში სკოლადავლილ მუშას.

საქართველოში სტახანოვური მოძრაობის პირველმა მერცხლებმა — დავით ჭიჭინაძემ, კოტე ილურიძემ, მიხეილ გეწაძემ, ვანო ხაჟალიამ აქ გაიკეთეს ბუდე. აქედან წავიდა მათი ახლებურად მუშაობის ამბავი მთელ საქართველოში.

გამარჯვებათა მოპოვებას არის ნაჩვევი ამ ქარხნის კოლექტივი, რომელმაც მარტო შარშან 751 რაციონალიზატორული ღონისძიება დანერგა და სამშობლოს 174.682 მანეთი ეკონომია მისცა. ახლა კოლექტივი კომუნისტური შრომის სახელსათვის იბრძვის.

შენი გამარჯვებისა იყოს, ღვაწლმოსილი საწარმოს კოლექტივო!

დ. ლომთაძე.

სურათზე: თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშაკთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ხუროთა ბრიგადის ხელმძღვანელი ს. ზადიკაშვილი, სამსხმელო საამქროს უფროსი ვ. რთველაძე, სამსხმელო საამქროს ოსტატი ნ. მალიავსკი, ქარხნის უფროსი ბ. მაცაბერიძე, ორთქლმავალთა ამწყობი ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ბიბინეიშვილი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ხ. მელიან-შაპავი და ელექტრომაღალი ვანი საამქროს მექანიკოსი ი. იოსებაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გულდასმით შევაჯამოთ, გავაკეთოთ დასკვნები

ციდევ რამდენიმე დღე და პოლიტიკური განათლების სისტემაში დამთავრდება შემაჯამებელი, დასკვნითი მეცადინეობები. ახლა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში განსაკუთრებული ძალით ჩქეფს სისხლსავსე იდეური ცხოვრება.

კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები ერთგვარ ანგარიშს აბარებენ პარტიულ ორგანიზაციებს, პროპაგანდისტებს, სემინარის ხელმძღვანელებსა და კონსულტანტებს პოლიტიკური განათლების სისტემაში მთელი სასწავლო წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ.

წელს ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ემთხვევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებს, რომელიც განიხილავს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგ ამოცანებს. ამიტომაც იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი დარგის — პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობის შეჯამება, სასწავლო წლის ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე დამთავრება რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების ყოველდღიური ზრუნვის საგანი გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნით, ზოგიერთი რაიონების გამსხვილებით კი არ შენელდა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება და დახმარება პოლიტიკური განათლების სისტემისადმი, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. კომუნისტებისა და უპარტიო ამხანაგების პოლიტიკური სწავლება უფრო ორგანულად დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიურ ამოცანებს და გახდა ნამდვილად მიზანსწრაფული, ქმედითი.

თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და სხვა ქალაქების, სამრეწველო და სასოფლო რაიონების პარტიულ ორგანიზაციებთან ჩატარებულმა პირველმა შემაჯამებელმა მეცადინეობამ ნათელყო ის დიდი მუშაობა, რაც წინა წლებთან შედარებით გაწეულია წელს პოლიტიკური განათლების ცხოვრებასთან დასაკავშირებლად, მისი გავლენის სფეროს გასაფართოებლად და ქმედობისათვის. პოლიტსკოლების წრეების, სემინარების მსმენელები, წიგნნე დამოუკიდებლად მომუშავენი ამეღავნებენ ღრმა თეორიულ ცოდნას და ამასთან ერთად სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტული გზების ხწორ გაგებას.

დიდი ლენინი ამობობდა, რომ „**პოლიტიკური განათლების შედეგები შეიძლება მხოლოდ მეურნეობის გაუჯობესებით გაიზომოს**“. და თუ ამ გენიალური მითითების მიხედვით მივუდგებით პოლიტიკური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგების შეფასებას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ცუდად როდი უმუშავნიათ. შარშანდელი და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები, სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში მოპოვებული წარმატებები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენად ამაღლდა მასების პოლიტიკური შეგნებულება, თუ როგორ გაიზარდა, ამაღლდა მისი მოწინავე რაზმის — კომუნისტების ავანგარდული როლი.

სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადებას წინ უძღოდა პარტიულ კომიტეტებში მოწყობილი თათბირები ამ საკითხზე. პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პროპაგანდისტებს, სემინარისა და სკოლების ხელმძღვანელებს მიეცათ სათანადო ინსტრუქტაჟი, შედგენილია კალენდარული გეგმა — სად, როდის უნდა ჩატარდეს მეცადინეობა. ისევე, როგორც წინა წლებში, შემაჯამებელ მეცადინეობაზე ძირითადად გამოაქვთ შესწავლილი საკითხებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები. ამოცანა ის არის, რომ მეცადინეობაზე მსმენელმა ერთხელ კიდევ ღრმად შეიგნოს შეძენილი ლენინური ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, ისწავლოს მისი გამოყენება თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით საჭიროა პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმული ამხანაგების ყურადღება გავამახვილოთ იმ უდავო ჭეშმარიტებაზე, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე გადაჭრით გამორიცხულია რაიმე „მშვიდობიანი თანაარსებობა“, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნება საბრძოლო ფრონტი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების დამკვიდრებასა და შემდგომ განვითარებაში.

„**ჩვენ აქტიური შეტევა უნდა ვაწარმოოთ კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე**, — ამობობდა ნ. ს. ხრუშჩოვი რუსეთის სფსრ მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა თათბირზე, — **იდეოლოგიური ფრონტი კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კომუნიზმის ათვის ბრძოლაში**“.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო წლის წარმატებით დამთავრება მკვიდრ საფუძველს უყრის პოლიტიკური განათლების შემდგომ გაუმჯობესებას მომავალი სასწავლო წლისათვის. ამიტომ პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა რაც შეიძლება ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე წარმართონ შემაჯამებელი მეცადინეობა პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში. და ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი იმ ღონისძიებათა რიცხვში, რითაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეგებება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი

კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე

24 მაისს შავი ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად ჩავიდნენ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **ფიდელ კასტრო რუსი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი.** (საკადესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრკ სახელმწიფო საზღვრების დაცვაში უმწიკლო სამსახურისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბუგრიმოვი** ალექსი მიხეილის-ძე — მიჩმანი
2. **გოგიბერიძე** სოსიკო ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
3. **გრებენიუკი** ვიქტორ ვასილის-ძე — მაიორი
4. **დურასოვი** ნიკოლოზ გრიგოლის-ძე — მაიორი
5. **ელფიმოვი** სერაფიმ ივანეს-ძე — ლეიტენანტი
6. **იგნატოვი** ალექსანდრე პეტრეს-ძე — ეფრეიტორი
7. **კაშინი** ეევგენი ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
8. **კლიმანოვი** მიხეილ მიხეილის-ძე — კაპიტანი
9. **კოვრიგინი** ვიქტორ ივანეს-ძე — კაპიტანი
10. **კუზნეცოვი** არკადი ანდრიას-ძე — მაიორი
11. **მატვეევი** ალექსანდრე მათეს-ძე — კაპიტანი
12. **მელნიკი** ნიკოლოზ ნიკიტას-ძე — მაიორი
13. **მორჩენკო** ვიქტორ კირილეს-ძე — მიჩმანი
14. **მუსაელიანი** მიხეილ ხაჩატურის-ძე — კაპიტანი
15. **ნიკიტჩუკი** ივანე ვასილის-ძე — სერჟანტი
16. **პესკოვეცი** ივანე სერგის-ძე — კაპიტანი
17. **პლატონოვი** ვიტალი ივანეს-ძე — სერჟანტი
18. **უმაკინი** იური სიმონის-ძე — ეფრეიტორი
19. **ტანკოვიჩი** პეტრე ილიას-ძე — უფროსი ლეიტენანტი
20. **ტრინოვი** ანდრია პეტრეს-ძე — მე-3 რანგის კაპიტანი
21. **შუპლეევი** ვიქტორ ნიკოლოზის-ძე — კაპიტანი
22. **შულიაკი** ივანე ანდრიას-ძე — მაიორი
23. **ხარიბინი** ნიკოლოზ არსენტის-ძე — კაპიტანი
24. **ჯაიანი** ნუგზარ ავქსენტის-ძე — უფროსი ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 24 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. **ბირკაიას** გიორგი ვლადიმერის-ძეს — სამედიცინო სამსახურის თადარიგის პოდპოლკოვნიკს
2. **ბლატს** მაიორ აბრამის-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს
3. **ბლინოვს** გენადი პეტრეს-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს
4. **დოლგიხს** ვასილ ფილიპეს-ძეს — სამედიცინო სამსახურის მაიორს
5. **იორდანიდის** ივანე ექვთიმეს-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 24 მაისი.

გუშინ პლანტაციებში

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა გუშინ მოკრიფეს 600 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. დიდ წარმატებას აღწევს ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 50.600 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. სულ აქ მოკრეფილია 300 ტონამდე ჩაის ნედლეული.

ჩაის კრეფაზე მუშაობს 40 მანქანა „საქართველო“. № 19 მანქანამ, რომელსაც მართავენ **გ. ყურუა** და **ს. ლოლუა**, გუშინ მოკრიფა 1.244 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, № 26 მანქანამ (მექანიზატორი **ვ. ქირია**) — 1.200 კილოგრამი, № 24 მანქანამ (მექანიზატორები **ვ. ქარჩავა**, **ა. გაბაონია**) — 1.186 კილოგრამი.

ბალის საწარმოო სამმართველოში ერთ დღეს მოიკრიფა 320 ტონა „მწვანე ოქრო“. სულ მოკრეფილია 1.700 ტონამდე. დაწინაურდნენ ნაბაკევის, საბერიოს, ოქტომბრის კოლმეურნეობები და ადამიანები. თვითეულმა მათგანმა დღიური დავალება 120-130 პროცენტით შეასრულა.

ცნობილმა მეჩაიემ, ჰუბერხინჯელმა ციალა ყოლბაიამ ერთ დღეს მოკრიფა 150 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაბაკეველმა **ციალა ეხვაიამ** — 160 კილოგრამი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ზოია გერგედავა** დღეში კრეფს 80-100 კილოგრამ „მწვანე ოქრის“.

25 მაისი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ.

პლენუმი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ჩერქეზიამ.**

მოხსენებები გააკეთეს ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კომკავშირული კომიტეტის მდივანმა **შ. კაპანაძემ** და ჩაქვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა საწარმოო სამმართველოს კომკავშირული კომიტეტის მდივანმა **ს. ინაიშვილმა.**

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ანდრონიკაშვილმა.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ირანში მომავალი ვიზიტის გამო

მისმა უდიდებულესობამ მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ, ირანის შაჰინშაჰმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მიიწვია ირანში საპასუხო ვიზიტად. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ეს მიწვევა.

მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალურ ვიზიტად ირანში ჩავა 1963 წლის 16 ნოემბერს.

ახალციხელთა წარმატება

დარგულია 1.701 ჰექტარი კარტოფილი

ამას წინათ ახალციხის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშაობამ და სპეციალისტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად გადიდებული ვალდებულება იკისრეს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების საქმეში და მოწოდებით მიმართეს საქართველოს სსრ მეკარტოფილეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მშრომელს.

ახალციხელმა მეკარტოფილეებმა უკვე პირველი წარმატება მოიპოვეს. გუშინ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ხარისჩარიშვილმა და საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. კ. გოგიბერიძემ რედაქციას აცნობეს, რომ ახალციხელმა მშრომელებმა დარგეს 1.701 ჰექტარი კარტოფილი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.700 ჰექტარისა.





ზაპოროჟიელი სტუმრები რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). ამერკავკასიის „მეტალურგშენის“ ტრესტის კოლექტივის მოწვევით რუსთავში ჩამოვიდა ლენინის ორდენოსანი „ზაპოროჟსტროის“ ტრესტის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან ტრესტის მმართველის მოადგილე ი. ბოლბა (დელეგაციის მეთაური), სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ბრიანოვი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ბაბიჩევი, პარტიული კომიტეტის წევრი ნ. იაკუბა.

ჯერ კიდევ სამეურნეო წლის დასაწყისში რუსთაველმა მშენებლებმა წერილი გაუგზავნეს უკრაინელ კოლეგებს და სთხოვეს ჩაბმულიყვნენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზაპოროჟიელებმა სიხარულით მიიღეს ეს წინადადება და საპასუხო წერილში აღნიშნეს თავიანთი ვალდებულებანი, რასაც კისრულობდნენ ქართველებთან შეჯიბრებაში.

ამჯერად „ზაპოროჟსტროის“ ტრესტის დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია გაეცნონ თავიანთ ქართველ კოლეგებს, გაუზიარონ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება და შეაჯამონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, მეტალურგიული ქარხანა, იყვნენ დიდი ქიმიის ობიექტზე, გაეცნენ ადამიანებს.

22 მაისს მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართა მშენებელთა აქტივის კრება. ამერკავკასიის „მეტალურგშენის“ ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ჭყონიამ და „ზაპოროჟსტროის“ ტრესტის მმართველის მოადგილემ ი. ბოლბამ აქტივის მონაწილეებს გააცნეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები. როგორც გამოირკვა, ორივე ტრესტმა წარმატებით შეასრულა 4 თვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

აქტივის კრებაზე გაფორმებულ იქნა ახალი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით რუსთაველი მშენებლები კისრულობენ 25 დეკემბრისათვის შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა, ამასთან 15 დღით ადრე გადასცენ საექსპლოატაციოდ მეტალურგიული ქარხნის ლითონგადახურვის საამქრო, ხოლო კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობა — მეორე კვარტალში.

თავის მხრივ „ზაპოროჟსტროის“ ტრესტის კოლექტივი პირობას იძლევა 7 დღით ადრე შეასრულოს მშენებლობის წლიური გეგმა, 0,3 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, 10 პროცენტით შეამციროს თვითღირებულება, მისცეს სამშობლოს 200.000 მანეთი ეკონომია.

მხარდამხარ საერთო მიზნისათვის

სოფია, 25 მაისი. (საკადესი). „შეხედულებათა სრული ერთიანობა“, „სსრ კავშირი და კუბა ერთ მწყობრში მიაბიჯებენ საწინააღმდეგო მიზნისაკენ“ — ასეთი დიდი სათაურებით აქვეყნებენ ბულგარეთის დღეგანდელი გაზეთები საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივ განცხადებას.

ბერლინი, 25 მაისი. (საკადესი). საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი განცხადება ბერლინის დემოკრატიული პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთმა „**ნოიეს დოიჩლანდმა**“ განცხადების სრული ტექსტი გამოაქვეყნა. სხვა გაზეთები დაწვრილებით ბეჭდავენ ამ დოკუმენტის შინაარსს. „ძმური მეგობრობა“, „სსრ კავშირი და კუბა: ერთსულოვნება ყველა საკითხში“, „მშვიდობიანი თანაარსებობის გამარჯვებისათვის“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ გაზეთები ცხობას იმის შესახებ, რომ ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფიდელ კასტრომ ხელი მოაწერეს განცხადებას.

როგორც „**ნოიეს დოიჩლანდი**“ აღნიშნავს, საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ თუ დაირღვევა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელმაც პირობა დადო, რომ კუბაში არ შეიჭრებიან, და ასეთი თავდასხმა მაინც განხორციელდა, მაშინ საბჭოთა კავშირი შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას მოძმე კუბელი ხალხის წინაშე და საჭირო დახმარებას გაუწევს კუბის რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირების ორგანო გაზეთი „ტრიბიუნე“ ბეჭდავს განცხადების შინაარსს და აღნიშნავს, რომ კუბაში ახალი ცხოვრების მშენებლობას ყველა წარმატება შესაძლებელი გახდა კუბელი ხალხის უდიდესი ენთუზიაზმისა და შეკავშირების და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძმური სოლიდარობისა და დახმარების შედეგად.

ბელგრადი, 25 მაისი. (საკადესი). „საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დაეხმარება კუბას მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში“ — აღნიშნავს „პოლიტიკა“ თავის დილის გამოცემაში, რომელშიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი განცხადების შინაარსი.

აზრთა გაზიარების დროს, აღნიშნავს „პოლიტიკა“, სრული თანხმობასა და შეხედულებათა ერთიანობას მიაღწიეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა პრობლემასა და აქტუალურ საკითხზე. საბჭოთა კავშირმა და კუბამ, განაგრძობს გაზეთი, დაადასტურეს, რომ მზად არიან იბრძოლონ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის ტრიუმფისათვის.



სამშობლოს გზებზე

მშვენიერ ტრადიციად დამკვიდრდა მშრომელთა ტურისტული მოგზაურობა მატარებლით. ათასობით მშრომელმა იმოგზაურა მოძმე რესპუბლიკებში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში, კმაყოფილებით გაეცნო ღირსშესანიშნაობებს, ისტორიული და რევოლუციური წარსულის ამსახველ ძეგლებს.

ახლახან საზოგადოებრივ საწყისებზე ტურისტული კლუბი შეიქმნა ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქალაქ ქუთაისში, საიდანაც 6 მაისს დაიძრა ახალი ტურისტული მატარებელი მარშრუტით ქუთაისი-კიევი-მინსკი-ვილნიუსი-რიგა-ტალინი-ლენინგრადი-მოსკოვი-ქუთაისი. მატარებელით, რომლის შემადგენლობაშია 15 ვაგონი, იმოგზაურა 400-ზე მეტმა ტურისტმა.

ტურისტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის ღირსშესანიშნაობანი. ეს სურათები სწორედ მათს მოსკოვში ყოფნას ასახავენ. (მარცხნივ) ლიტოპონის ქარხნის ქიმიკოსი ქეთევან ჩაგანიძე, ზეინკალი გურამ ამბროლაძე, საავტომობილო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი თინა ბასილაძე, № 14 სკოლის დირექტორი თეიმურაზ კოკოჩაშვილი, საავტომობილო ქარხნის ტექნიკოსი-კონსტრუქტორი ზაურ ქებულაძე; (მარჯვნივ) ქუთაისელი ტურისტები კრემლის ტერიტორიაზე.

ფოტო ბ. ლუცენკოსი.

ნათელი მიზნები და პასუხსაგები ამოცანები

გ. გეგეშიძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის
ბიუროს თავმჯდომარე.

აპრილის ბოლოს მოსკოვში შედგა რუსეთის ფედერაციის მრეწველობისა და მშენებლობის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა რუსეთის ფედერაციის ეკონომიურ რაიონებში მრეწველობისა და მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის შემდეგ პარტიული კომიტეტებისა და ახალი სამეურნეო ორგანოების მუშაობის შედეგები, დასახა ღონისძიებანი საწარმოებისა და მშენებლობებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამ თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც, და ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ძირეული საკითხების გარკვევას დიდი საყოველთაო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისთვისაც, მიზანშეწონილად ვცანით გავაცნოთ ისინი ჩვენი რესპუბლიკის ფართო მასებს, მით უმეტეს, რომ თათბირის მუშაობის მასალები, განსაკუთრებით კი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ამ თათბირზე — ეს არის ჩვენი შემდგომი მუშაობის პროგრამა, სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ლენინური სტილის სრულყოფის მკაფიო გზა.

ჩვენი სახალხო მეურნეობა უმაგალითო აღმავლობის გზაზეა. მაგრამ კიდევ უფრო მეტი წარმატებები გვექნებოდა, მრეწველობასა და მშენებლობაში ნაკლოვანებები და შეფერხებები გადაჭრით და უფრო სწრაფად რომ აღმოგვეფხვრა, უკეთ და სრულყოფილად რომ გამოგვეყენებინა არსებული რეზერვები და შეესაძლებლობანი, მოგვეწესრიგებინა დაგეგმარებისა და მშენებლობის ორგანიზაციის გაჯანსაღების საკითხები, ბოლო მოგვეღო სახსრებისა და მატერიალური რესურსების დაკუცმაცებისათვის.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობასა და მშენებლობაში, რა მხრივ არის დამახასიათებელი საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობისათვის ის ნაკლოვანებები, რაც სრულიად რუსეთის თათბირზე აღინიშნა?

შვიდწლედის განვლილი ოთხი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა გეგმით დასახული საკონტროლო ციფრის გადამეტებით გამოუშვეს ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდამ შეადგინა 33 პროცენტი, ე. ი. საშუალო ყოველწლიური ზრდის ტემპი 8,25 პროცენტს აღწევს.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში საქართველოს მრეწველობის საწარმოებში მნიშვნელოვანი წარმატება გვაქვს. 1962 წლისათვის დადგენილი დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდისა შესრულებულ იქნა 102,6 პროცენტით, რაც 1957 წლის მიღწეულ დონეს 21,3 პროცენტით აჭარბებს, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ შემცირებულ საშუშაო დღეზე გადასვლას, ეს გადაჭარბება 33 პროცენტს გაუთანაბრდება. წარმოების მოცულობის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოების ხარჯები. ზეგეგმითმა ეკონომიამ, რაც მიღებულ იქნა თვითღირებულების შემცირებით, მარტო 1959-1962 წლებში მოგვცა 81 მილიონი მანეთი.

ამასთან აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არარენტაბელური, გეგმიური ზარალის მომცემ საწარმოთა ხვედრითი წონა 28,3 პროცენტიდან შემცირებულ იქნა 17,9 პროცენტამდე.

კაპიტალური მშენებლობის დარგში შვიდწლეანი გეგმის საკონტროლო ციფრებით ნაგულისხმევი დავალებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ შესრულებულია 6,8 მილიონი მანეთის, ანუ 12,1 პროცენტის გადაჭარბებით, მაშინ როდესაც იმავე ორგანიზაციებმა მშენებლობის სახელმწიფო გეგმები მხოლოდ 95,6 პროცენტით გაანაღდეს. ამასთან ზრდის ტემპმა მიაღწია 13,7 პროცენტს შვიდწლეიან საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 12,8 პროცენტის ნაცვლად.

მრეწველობის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ერთგვარი გაუმჯობესება შედეგია იმ ყურადღებისა, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები იჩენენ მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების საკითხებისადმი, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის საქმისადმი.

ვარბილის გადაწყვეტილებებმა დაგვანახვა, რომ სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა, ცოცხალი ორგანიზაციორული და აღმშრდელობითი მუშაობის გაშლა საწარმოებში, ე. ი. იქ, სადაც წყდება სახელმწიფო გეგმების შესრულების ბედი, კარგ შედეგებს გვაძლევს. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის ის მაჩვენებლები, რომლებიც მოპოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდგომ პერიოდში, კერძოდ მიმდინარე წლის განვლილ ოთხ თვეში.

საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო ვადამდე, 27 მარტისათვის. ასევე ვადამდე, 27 აპრილისათვის იქნა განაღდებული ოთხი თვის გეგმა, რომლის გადამეტებით რესპუბლიკის მრეწველობამ მოგვცა მილიონობით მანეთის პროდუქცია. ამასთან გამოშვებული პროდუქციის მოცულობა წინა წლის შესაბამის პეროდთან შედარებით გაიზარდა 11,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულ იქნა 102,6 პროცენტით და ზრდის ტემპმა მიაღწია 112,8 პროცენტს. წელს პირველ კვარტალში ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების საწარმოო ხარჯებმა შეადგინა 93,86 კაპიკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 94,56 კაპიკისა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომია დაახლოებით რამდენიმე მილიონ მანეთს აღწევს.

ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალ სიმძლავრეთა მწყობრში ჩაყენების საკითხს. რესპუბლიკაში გადაჭარბებით არის შესრულებული საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ოთხი თვის გეგმა. მიმდინარე საწარმოთა მწყობრში ჩავაყენეთ მთელი რიგი ახალი სიმძლავრეები. დიდი მუშაობა არის გაწეული სხვადასხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ხაზით სამშენებლო სამუშაოთა ცენტრალიზაციისათვის. ამრიგად ჩვენს რესპუბლიკაში უკვე შესრულებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დირექტივა მშენებლობის გამოყოფის შესახებ სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად და განხორციელებულია მითითება მშენებლობის გადაყვანის შესახებ საიჯარო საფუძველზე.

მაგრამ ყოველივე ამასთან ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის საერთო შედეგებით, მით უმეტეს, რომ გვაქვს, არცთუ მცირე რაოდენობით, ისეთი საწარმოები, რომლებიც ჩამორჩებიან, ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას. გასულ წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა 9 პროცენტმა ვერ შეასრულა სახელმწიფო გეგმა და 19,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დაგვაკლო. წელს განვლილი ოთხი თვის გეგმა ვერ შეასრულა იმავე საწარმოთა 15,4 პროცენტმა. 104 საწარმოს შარშან და 100 საწარმოს წელს განვლილ 4 თვეში არ შეუსრულებია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, აგრეთვე სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოები, ისეთი საწარმოები, როგორიც არიან — ნოსირის აგურის ქარხანა, აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატი, თბილისის № 1 და ბათუმის № 2 ტყავის ქარხნები.

განა შეიძლება შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ შარშან რესპუბლიკის 85 საწარმომ, ხოლო წელს პირველ კვარტალში 162 საწარმომ ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინეს“ თავი სამთამადნო მრეწველობის ტრესტმა, ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველომ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანამ, 26 კომბინრის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხანამ და სხვ.

არა ერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ იქ, სადაც პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა ახალ პირობებში მუშაობის დაწყებიდანვე შეძლეს საწარმოთა საქმიანობის სიღრმეში ჩაწვდომა, წარმოებული საკითხების კონკრეტულად და ოპერატიულად გადაჭრა, იქ საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. აი მაგალითი: კასპის სამრეწველო ზონაში წელს ინვესტიციების გეგმა ვერ შეასრულა 8 საწარმომ. მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროო, მას შემდეგ, რაც ადგილობრივი პარტიული კომიტეტი, სახალხო მეურნეობის საბჭო და შესაბამისი სამმართველოები გაერკვნენ ჩამორჩენის მიზეზებში და მიიღეს ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება, ახლა კასპის სამრეწველო ზონაში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს 30 საწარმოდან შარშან სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა ექვსმა, ხოლო მიმდინარე წლის განვლილი ოთხი თვის მანძილზე ამ სამმართველოში არ მოიპოვება ისეთი საწარმო, რომელსაც სახელმწიფო დავალება არ შეესრულებინოს.

ცნობილია, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო გეგმების შესრულებაში ჩამორჩებოდნენ ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არიან ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის საფეიქრო კომბინატი, ქარხანა „მიკროძრავი“ და სხვ. წელს ამ საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს 4 თვის გეგმა, რიგმოერად იწყეს მუშაობა, კიდევ მეტიც. ზოგ მათგანს, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, წელს აქვს იმის უყველა შესაძლებლობა, რომ უარი თქვას სახელმწიფო დოტაციაზე, ვინაიდან მარტო პირველ კვარტალში მისმა კოლექტივმა გადაფარა მიღებული სადოტაციო თანხა და მოგვცა 60 ათასი მანეთი მოგება.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარშივე უკლებლივ ყველა საწარმო წარმატებით ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას, არც ერთ ქალაქში, არც ერთ სამრეწველო საწარმოო ზონაში და სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოში არ იყოს ჩამორჩენილი საწარმო.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკაში არის ისეთი საწარმოები, რომლებიც არ ასრულებენ ნაწარმის ნომენკლატურულ დავალებას. ასეთ საწარმოთა რიცხვი კი ამჟამად 150-ს აჭარბებს. ბევრი მოდის საყვედურის წერილები, საჩივრები სხვა ეკონომიური რაიონებიდან იმის თაობაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკიდან მათ დროზე არ აწოდებენ ცალკე ნაწარმს ნომენკლატურის მიხედვით. ეს საყვედურები განსაკუთრებით შეეხება ფოთის ელექტრომექანიკურ, ქუთაისის ლიტოპონის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნებს და ზოგ სხვა საწარმოს.

ამას ბოლო უნდა მოეღოს. ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით საგეგმო დავალების შესრულება საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია და ამ მხრივ ჩამორჩენამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარშივე უნდა დავაღწიოთ თავი.

გარკვეულ და მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას ახასიათებს არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა არასაკმაოდ გამოყენება, მე ვიტყოდი, ამ დარგში შეუწყნარებელი ჩამორჩენაა. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ დარგებს, როგორიც არის მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, სადაც მოწყობილობა-დანადგართა დატვირთვის კოეფიციენტი არ აღემატება 0,55-ს, ხოლო ცვლადობის კოეფიციენტი — 1,33-ს. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში შესაბამისად ეს კოეფიციენტი უდრის 0,6 და 1,41-ს.

ჩვენს ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთსაშენებელ მრეწველობაში არიან ისეთი ქარხნები, რომლებიც დატვირთული არ არიან და არ გვაძლევენ მასობრივ, სერიულ პროდუქციას. სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში ამ ქარხნებს შეუძლიათ საგრძნობლად გაადიდონ პროდუქციის მოცულობა, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება დამატებითი ხარჯის გაუწევლად, რაც ხელს შეუწყობ. და როგორც საჩარხე დანადგართა ცვლადობის, ისე დატვირთვის კოეფიციენტის ამაღლებას.

სრულიად რუსეთის თათბირზე, ისევე როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხებს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის სპეციალიზაციისა და კოოპერირების, როგორც წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, განხორციელებას. ჩვენში ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოვრჩებით. ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ბოლომდე მიგვიყვანა თუჯისა და ფოლადის სხმულის ცენტრალიზაციისა და სპეციალიზაციის განხორციელების საქმე. უარესი ვითარებაა ფერადი სხმულის დარგში, რომლის წარმოებაც დაკუცმაცებულია მანქანათსაშენებლო საწარმოთა შორის, სადაც საამისოდ მოძველებული დადასი წარმადობის მოწყობილობა აქვთ. საჭირო და აუცილებელია დაუყოვნებლივ შეუფდგეთ ყველა სახის ლითონსხმულის ცენტრალიზაციისათვის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას. ამისათვის საჭირო იქნება სახსრები, მაგრამ ეჭვი არ არის, ამ ხარჯს მრეწველობა მალე და წარმატებით აგვინაზღაურებს.

გადაუდებლად მოსაწესრიგებელ საკითხად მიგვაჩნია აგრეთვე დატვირთვისა და ნაჭედის, ლითონის ნაწარმთა და საინსტრუმენტო მეურნეობის ცენტრალიზაციისა და სპეციალიზაციის მოწესრიგება. ამ მიზნით, ვფიქრობთ, პირველ რიგში უნდა გადაწყდეს საკითხი ამიერკავკასიის დიდ ეკონომიურ რაიონში კოოპერირებულ საწარმოთა ურთიერთობის მოგვიანებისა, უნდა მოვაწყოთ ამიერკავკასიის საწარმოებში ისეთი ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება, რაც ახლა მოსკოვიდან, ჩელიაბინსკიდან, ვოლგოგრადიდან, ურალიდან და სხვა შორი ეკონომიური რაიონებიდან შემოგვაქვს.

მთავარი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხს. ეს ყურადღება კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ საქართველოს მრეწველობის მუშაობისადმი, ზოგი ჩვენი საწარმოს ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვება უდიდესი დანაშაულია სახელმწიფოს წინაშე, ხოლო ექსპორტისათვის უხარისხო პროდუქციის გამოშვება ორმაგი დანაშაულია: სახელმწიფოს დიდი მატერიალური ზარალის განცდასთან ერთად პოლიტიკურადაც უტყდება სახელი საერთაშორისო ვაჭრობის ბაზარზე. განა შეიძლება შესაწყნარებლად მივიჩნიოთ საქციელი ზოგიერთი საწარმოს კოლექტივისა, რომელმაც დაიმსახურა საექსპორტო ნაწარმის წუნმკეთებლის სათაკილო სახელი და რომელმაც ფინეთსა, პოლონეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიაში გაგზავნა არასაკმაოდ ხარისხოვანი ლითონდასამუშავებელი ჩარხები? ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობას ბიუროზე და, ვფიქრობთ, იმ საწარმოთა კოლექტივები აქედან შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ.

საყვედურები შემოდის მომხმარებლებისაგან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ბათუმის ელექტროტექნიკური და ელექტრონულსაწყოთსაშენებელი ქარხნების, თბილისის ქარხანა „მიკროძრავას“ პროდუქციის შესახებ. საგრძნობ ზარალს ვიღებთ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მიერ გამოშვებული წუნის შედეგად. წუნის აღმოფხვრა, ნედლეულის მფლანგველურად ხარჯვის ლიკვიდაცია და წუნმკეთებლების ალაგმვა ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

ამასთან ვერავითარ პირობებში ვერ შევურიგდებით იმ მახინჯ მოვლენას, რომ ჩვენი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომ კვლავაც ბევრი საწარმო მომგებიანი არ არის. მარტო შარშან რესპუბლიკის 18 საწარმომ გეგმიური მოგების ნაცვლად 600 ათას მანეთზე მეტი ზარალი მოგვცა. სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის 7 საწარმოში ზარალმა 170 ათასი მანეთი შეადგინა.

ჩვენი ამოცანაა უახლოეს ვადაშივე შეისწავლოთ საწარმოთა არარენტაბელური მუშაობის საკითხი, დავამუშაოთ ღონისძიებები არარენტაბელობის აღმოსაფხვრელად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს წლებში რესპუბლიკაში არ იყოს გეგმიური ზარალის მომცემი არც ერთი საწარმო.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის კაპიტალურ მშენებლობას. სწორედ ამ დარგში ჩვენს რესპუბლიკაში დიდ წარმატებებს ვერ დავიკვეხნით. 1962 წელს კაპიტალდაბანდებათა წლიური გეგმა შესრულებულ იქნა 94 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 99 პროცენტით. კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელია ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების ამუშავების დარგში. 4 თვეში კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 78 პროცენტით. ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა — 86 პროცენტით. არასახარბიელოა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში იმ სამშენებლო ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებიც სამშენებლო გეგმებს ვერ ასრულებენ, კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება. წლის პირველ კვარტალში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები ჩაშალეს მესამე, მეხუთე, მეექვსე, მერვე და მეცხრე სამშენებლო ტრესტების კოლექტივებმა.

ჩამორჩენისათვის მართებული იქნება პასუხი აგოს მშენებლებთან ერთად მათმა დამკვეთებმა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მშენებლებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული მომარაგებით, მოწყობილობის მიწოდებითა და დაფინანსებით. პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე სათანადო პარტიულ ორგანიზაციებს.

ერთ-ერთი ნაკლოვანება კაპიტალურ მშენებლობაში არის ფულადი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაკუცმაცება, სატიტულო სიებში ისეთი ობიექტების შეტანა, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი პროექტებით, მოწყობილობით და მასალებით. ეს იწვევს სახსრებისა და მატერიალური რესურსების გაყინვას, მშენებლობათა გაჭიანურებას.

ბოლო წლებში ჩვენში დიდი რაოდენობით დაგროვდა დაუყენებელი მოწყობილობა. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში დაუყენებელი, უმოქმედოდ გაყინული იყო 54 მილიონ 487 ათასი მანეთის მოწყობილობა. ამის გამომწვევი მთავარი მიზეზია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შეუსრულებლობა. ამიტომ საჭიროა 1963 წლისათვის ხელახლა გადავათვალიეროთ სატიტულო სიები და დავამუშაოთ სათანადო წინადადებები კაპიტალურ მშენებლობაში ჩამორჩენის აღსაკვეთად.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის მთავარი მიზანია ადამიანებთან მუშაობის გაუმჯობესება, მასების დარაზმვა კონკრეტული საწარმოო ამოცანების გადასაწყვეტად, რეზერვების ასამოქმედებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად. ყოველივე ეს უნდა შეადგენდეს პარტიული მუშაობის ძირითად შინაარსს. პარტიული ორგანიზაციების უმეტესობაში სწორად გაიგეს თავიანთი პასუხისმგებლობის სწორედ ეს მხარე, მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაციის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. ზოგან სამრეწველო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში კვლავ აქვს ადგილი დიდ ნაკლოვანებებს — სხდომების მოწვევით გატაცებას, მიწერ-მოწერის ორომტრიალს, გაფლანგვებს, სახალხო ქონების განიავებას და ა. შ.

მაგალითად, კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულმა კომიტეტმა განვლილ მოკლე დროში 12-ჯერ მოიწვია სხდომა და განიხილა 123 სხვადასხვა საკითხი, ხოლო თელავის ზონის პარტიულმა კომიტეტმა რვა სხდომაზე 176 საკითხი განიხილა. ეს მუშაობის უთუოდ მანკიერი პრაქტიკაა.

მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ ადგილებს დაუბრუნა 50 ათასი წერილი, მიმართვა და განკარგულება, ე. ი. საშუალოდ ყოველდღიურად გზავნდნენ 485 ქაღალდს, ხოლო იმავე პირველ კვარტალში იმავე სახალხო მეურნეობის საბჭომ ადგილებიდან მიიღო 30 ათასი წერილი, მიმართვა და თხოვნა. როგორც იტყვიან, აქ კომენტარები ზედმეტია.

ჯონტროლს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ არის, რომ ახლა იგი აყვანილია დიდ პრინციპულ სიმაღლემდე. მაგრამ ამასთან ისიც უნდა თქვას, რომ კონტროლი თვითმიზანი როდია. მაგალითად, წელს მარტო ერთი თვის განმავლობაში რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მუშაობდა 16 შემმოწმებელი კომისია. საერთოდ მთელ ქარხანაში დაჰყვეს 105 დღე და ამ კომისიებისათვის მასალების მოსამზადებლად ქარხანამ გამომყო 160 კაცი, რომელებმაც მასალები 400 ფურცელზე წარადგინეს. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ქარხნის ხელმძღვანელებს კონკრეტული მუშაობისათვის დრო აღარ დარჩებოდათ! ეს გარემოება სრული სიცხადით გვიკარნახებს, რომ საჭიროა მოვახდინოთ შემოწმების საქმის კოორდინაცია, რათა აღარ გამეორდეს ერთსა და იმავე საწარმოში შემმოწმებელი კომისიების ერთდროული მუშაობა.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და მათი მდივნების მუშაობის ერთ-ერთი ნაკლია ისიც, რომ ვერ სარგებლობენ საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის საწესებო უფლებით და ხშირად თავიდან იცილებენ პასუხისმგებლობას იმ უმსგავსოებათათვის, რაც ზოგჯერ მათ საწარმოებში ხდება. განა შეიძლება შეეგუროგდეთ იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ თაღლითებმა, სახელმწიფო ქონების დატაცებლებმა და კომბინატორებმა რესპუბლიკის სამრეწველო და სამშენებლო საწარმოებში მარტო გასულ 1962 წელს გაფლანგეს, მითვისეს და განიავეს 1.889 ათასი მანეთი.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ზოგიერთ საწარმოში პარტიულმა ორგანიზაციებმა, თვით სამეურნეო ხელმძღვანელებმა შეასუსტეს კონტროლი, მოადუნეს სიფხიზლე, თვითდინებაზე მიუშვეს საქმე. ამით ისარგებლეს საწარმოებში მოკალათებულმა თაღლითებმა და დიდი თანხები გაფლანგეს. ახლა საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებმა და ხელშემწყობმა ჯგუფებმა გულდასმით შეამოწმონ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე და ბუხბალტრებად მიიღონ პატიოსანი, ყოველმხრივ შესწავლილი, კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან შემჩნეული უკადრის საქმეში. ამთავითვე უნდა დავამუშაოთ სრული კომპლექსური ღონისძიებები, რომელთა შემუშავება და განხორციელება არ უნდა დავაყოვნოთ, რათა სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავების ეს სამარცხვინო შემთხვევები საბოლოოდ აღმოვფხვრათ და წარმატებით შევასრულოთ გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენ წინაშე ნათელი პერსპექტივა, მკაფიო მიზნები და პასუხსაგები ამოცანები დგას. ყველა საფუძველი გვაქვს გამოვთქვათ მტკიცე იმედი, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მრავალთასიანი კოლექტივები არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ახალი წარმატებების მოპოვებით აღნიშნავენ 1963 წელს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

საღღეისო თემაგე

თათბირები იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე

ყულატუბო. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ გაიმართა საწარმოო სამმართველოს პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების, ლექტორ-პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა თათბირი, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა.

თათბირზე მოხსენებითი გამოსულმა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ნ. ხაბეიშვილმა ილაპარაკა პარტიული პროპაგანდისა და მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. აბესაძემ.

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ ნიგოითში მოეწყო ზონალური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგიტატორები, ლექტორები — ელმძღვანელები, აგიტატორები, ... [illegible] ...

თათბირზე მოხსენებითი გამოსულმა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა მ. ჩიტაძემ ილაპარაკა სოფლად საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენების მდგომარეობასა და ამოცანებზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. საბაშვილმა.

კითხვა-პასუხის საღამო

ბორი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ბორის საქალაქო კომიტეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ბორის საქალაქო განყოფილებამ ედადგოროური ინსტიტუტის ლექტორების, თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის მოაწყვეს **კითხვა-პასუხის საღამო** თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები“.**

დამსწრეთა მრავალ კითხვას პასუხი გასცეს მშრომელთა დეპუტატების ბორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ლაცაბიძემ, პროკურორმა ა. ბეგნიმ, ინსტიტუტის რექტორმა დოც. გ. ხარაულმა და სხვებმა.

ლექტორები შეიკრიბნენ...

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სოფელ სართიჭალის კლუბში მეურნეობის მუშა-მოსამსახურეების, სამრეწველო ახალგაზრდობისა და სოფლის ინტელიგენციისათვის გამართა პოეტ ი. ნონეშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „ორი სამყაროს კონტრასტები“.

წყნეთის სამკერვალო ფაბრიკასა და ტბაბანელის სახელმწიფო ბიოკომბინატში გაიმართა ლექტორთა დღე. ლექტორებმა ტ. მეგრელიშვილმა, დ. ქორიძემ, ა. ხუნდაძემ, მ. ახობაძემ, შ. ნოზაძემ, ა. ცომცაშვილმა და ი. კაჭარავამ წაიკითხეს ლექციები აქტიურ თემებზე.

გ. ცინცაძე.

მამაცთა ხსოვნის დღე

თელავი. (საკ. კორ.). იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორატის თაოსნობით კოლმეურნეობაში ჩატარდა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე. ფოტოსტენდებზე გამოკრულია იმათი სურათები, ვინც მკერდით იცავდა სამშობლოს და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. მათ შორის არის იყალთოელი ქალიშვილი თამარ ციციოლაშვილი. იგი სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსიდან წავიდა ფრონტზე მოხალისედ.

იყალთოელი კოლმეურნეები გულთბილად შეხვდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს — გენერალ-მაიორ გ. ყურაშვილს, საბჭოთა კავშირის გმირს დ. ბაქრაძეს, ტექსტილის ქართული ბატალიონის მებრძოლს ნ. გონგლაძეს და სხვებს. სტუმრებმა ვრცელად ილაპარაკეს თემაზე „ქართველები დიდ სამამულო ომში“. საკუთარი ლექსი წაიკითხა სიკო ჩანგვაზიმა.

კოლმეურნე ტასო მიქელაშვილმა თქვა: — სამამულო ომში სამი შვილი დავკარგე. მე მათი გმირობით ვამაყობ.

მიქელაშვილმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა გ. ყურაშვილს, დ. ბაქრაძეს და ნ. გონგლაძეს.

იყალთოელებმა გადაწყვიტეს ყოველწლიურად 19 მაისს აღნიშნონ მამაცთა ხსოვნის დღე.

ზ ესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 სადნობ საამქროს № 1 ღუმელის მდნობელთა ბრიგადა, რომელსაც აბესალომ სირაძე ხელმძღვანელობს, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას და ყოველდღიურად გეგმის ზევით 1,5-2 ტონა მაღალხარისხოვან ფეროშენადნობს იღებავ. სურათზე: ბრიგადის ხელმძღვანელი ა. სირაძე (მარჯვნივ) მორიგ დავალებას აძლევს მეაპარატე ვაჟა სვანიძეს.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდეს

საბჭოთა პოეზიის გამოჩენილი ოსტატი

სიმონ ჩიქოვანი

ჩვენს სახელოვან პოეტს სიმონ ჩიქოვანს სამოცი წელი შეუსრულდა.

სამოცი წელი ნამდვილად არ არის სრული საიუბილეო თარიღი ისეთი შემოქმედისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ჭაბუკური ენერგიით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს, იბრძვის, იწვის, ქმნის.

სიმონ ჩიქოვანი აგერ გუშინწინ წერდა გაზეთ „კომუნისტში“ თავისი შემოქმედებითი გეგმების შესახებ: უკანასკნელ ხანს ჩემი მთავარი საზრუნავი იყო ჩემი წერილების კრებული, ამჟამად კი ვმუშაობ ლირიკული ლექსების კრებულზე, რომელსაც შემოდგომაზე გამოვცემო. პოეტს ლირიკული პოემაც დაუსრულებია. მაშ ეს ჭაბუკური ენერგია, ახალგაზრდული ენერგია არ არის?

სულით და გულით ვუსურვოთ კვლავაც დიდხანს გაჰყოლოდეს შთაგონების ეს ჩაუქრობელი ცეცხლი.

აქვე, ამ პატარა საგაზეთო ინტერვიუში პოეტი წერს: ჩემი აზრით ლექსი თუ ხალხის გულისთქმას არ გამოხატავს, პოეტის შრომა წყლის ნაყვაო. ამ, წინადაც ცნობილი აზრის გამეორება და მერე ასეთი მკაცრი ფორმით ხაზგასმა პოეტს საჭიროდ ჩაუთვლია თავის საიუბილეო დღეებშიც, რომ ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ეთქვა თავისი მტკიცე რწმენა და აზრი საერთოდ პოეზიის დანიშნულების გამო.

ჩვენც ამ თვალსაზრისით გადავავლოთ თვალი თვითონ მის პოეზიას.

სიმონ ჩიქოვანმა თავისი შემოქმედებითი მუშაობის ოთხი ათეული წელი განვლო და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, იგი ყოველთვის დაუღალავად იბრძოდა, რომ გამოეხატა ხალხის გულისთქმა, ახლოს ყოფილიყო თავის მშობლიურ ხალხთან, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან, ახალ საქართველოსთან.

სიჭაბუკეში ორიოდე წლის ფორმალისტური გატაცება მისი მხოლოდ საყმაწვილო სენი იყო, ჯერ მოუმწიფებელი პოეტის საყმაწვილო სენი, და ამის შესახებ შემდეგ მანვე კარგად თქვა: „მე ხალხის გული გავინაწილე და ის ჭაბუკურ წლებს მაპატიებს“-ო.

შემდეგ პოეტმა ხომ ლექსების მთელი ციკლები უძღვნა ჩვენი ხალხის გმირულ შრომას სოფლად და ქალაქად. რევოლუციურ გარდაქმნებს ჩვენს ქვეყანაში, ახალ წამოწყებებს, ახალ სართულებს, ახალ მთა და ბარს. მისი „მთაო გადმიშვი“ — ეს ახალი სვანეთია, „უშველის კომკავშირის სვანეთი“; მისი „შემოღამება ხახმატში“ — ახალი ხევსურეთია, „ვარგის შოფერის“ ხევსურეთი; მისი „სამეგრელოში შთაგონებული საღამოები“ — ეს ახალი ოდიშია, „სამურზაყანოს კოლექტივების ოდში“; მისი „ქართლის საღამოები“ — ეს ახალი ქართლია, „კოლმეურნის აივნიდან“ დანახული; მისი „კახეთის შემოდგომა“ — ახალი კახეთია, მდიდარი, ბარაქიანი კახეთი. ახეთ კვადრატებად დაპყო სიმონ ჩიქოვანმა ჩვენი ქვეყანა, ახალი საქართველო, რომ უფრო მოხერხებულად მოექცია იგი თავისი პოეზიის მეთოდურ ცეცხლში.

და მერე ლექსების ციკლი ჩვენს დედაქალაქზე? თბილისი „გაზაფხულის მტკვრის პირას“.

სიმონ ჩიქოვანის ლექსები პოეტის ბიოგრაფიაც არის.

მრისხანე სამამულო ომში პოეტმა თავის ლექსებს უწოდა „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, და იგი მარტო სიტყვით კი არ ეუბნებოდა მამულს გამარჯვებას, არამედ თავადაც იღებდა უშუალო, აქტიურ მონაწილეობას ამ გამარჯვებაში. სამამულო ომში სიმონ ჩიქოვანი იყო არა მარტო მებრძოლი პოეტი, არამედ აქტიური მებრძოლი მოქალაქეც.

ამგვარივე მებრძოლი აქტიური მოქალაქეობრიობის ნიშნით არის აღბეჭდილი სიმონ ჩიქოვანის ვრცელი პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ამ პოემისთვის ავტორს შეეძლო აგრეთვე დაერქმია „სიმღერა ხალხთა ძმობაზე“, რისთვისაც იგი, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, ყოველთვის დაუღალავად იბრძოდა არა მარტო თავისი შემოქმედებით, თავისი ლექსებით მოძმე რუსეთზე, უკრაინაზე, სომხეთზე, პოლონეთზე, დემოკრატიულ გერმანიაზე, არამედ თავისი მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობითაც.

პრაქტიკული საქმიანობით კი სიმონ ჩიქოვანს მართლაც დიდი დვაწლი მიუძღვის ჩვენს საბჭოთა მწერლობაში, ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის მოძმე და უცხო ენებზე თარგმნის საქმეში.

არ ყოფილა ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე არც ერთი ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც გამოხატულება არ ენახოს სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში. ამიტომ აფასებს ჩვენი ხალხი, ამიტომ სცემს პატივს ჩვენი საზოგადოებრიობა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას.

ოთხი ათეული წლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდა და იბრძვის პოეტი, რომ გამოხატოს ხალხის გულისთქმა ლირიკული ლექსის სტრიქონით. ასე იზრდებოდა და კვლავაც იზრდება სიმონ ჩიქოვანი.

რა კარგია, რომ ეს პატარა წერილი მხოლოდ საიუბილეო წერილია, მას მკითხველი არ მოსთხოვს პოეტის შემოქმედების სრულ და ღრმა ანალიზს, მისი შემოქმედების სრულ და ყოველმხრივ შეფასებას. ეს წერილი მხოლოდ საიუბილეო მისალოცია.

მაშ, მივულოცოთ ჩვენს მებრძოლ თანამოკალმეს, ღვაწლმოსილ, ჭაბუკური ჯანღონით სავსე პოეტს მისი ღირსეული იუბილე.

მამულს უთხრა გამარჯვება

ირაკლი აბაშიძე

პოეტი-აკადემიკოსი

სიმონ ჩიქოვანი

რაც შემეძლო გავისარჯე

სიყვარულის ნიჟი ვხარჯე,
გულისთქმა და სიყმაწვილის წლები,
რაც შემეძლო გავისარჯე,
დამეფანტა სულის ნაპერწკლები.

ვძლიო იქვი და სიბერე,
არ დავენდოთ შორს ღამეთა თევას,
სიცოცხლეო, დამიჯერე,
მე ჭიდილი მირჩევნია თვლემას.

სიჭაბუკე დავიჩემე,
კვლავ ვუგალობ შროშანას და ცისფერს.
შენ, მამულო, დამიჯერე,
აწ სიბერე ვით მიმინო მიმზერს.

მირჩევნია გამარჯე შრომა,
ტრფიალება, ტკარცალი და ეშხი,
მიყვარს მწიფე შემოდგომა
და ფურცლები მოშრიალე მთებში.

ტრფიალის და მზის ხარბი ვარ,
მშრომელი ვარ, ცხოვრების გზას
ვნასკვავ,
სიცოცხლეო, სად გარბიხარ,
როგორ მივწვდე ჩემს გაფრენილ
ვარსკვლავს?

სიყვარულის ნიჟი ვხარჯე,
წრფელი ხმა და სიყმაწვილის წლები,
რაც შემეძლო გავისარჯე
და გულში მაქვს სიყრმის ნაპერწკლები.

თბილისია ჩემი ფიქრის გუდე

თბილისია ჩემი ფიქრის ბუდე,
მთა არ მხიბლავს მთაწმინდაზე უფრო.
მომეფერე, მკერდში ჩამიხუტე,
აწ არ მინდა წუთით დაეუბრო.

მაღლა სვეტზე მეც ვკიდებდი მტევანს,
გაჰქრა სუსხი თებერვლის თუ რთვილის,
მე ჩიჩაღდნით ხარაჩოზე ვდგევარ,
თუ ნისლივით ვეფერები თბილისს.

შვიდჯერ მტკვარზე მოშვილდულა
ხიდი,
თავზე მედგა მზის ჯიღა თუ თარფი,
ისნის ცაზე ცისარტყელას ვშლიდი
და მთის ყვავილს გამოვტყუე თაფლი.

არ მედება წამწამებზე რული,
მინდა ცაცხვის ჩრდილი დავიხურო,
ვარ თბილისის ფიქრში ჩაკირული,
ჩახვეული, როგორც ციხის სურო.

კენჭი ვიყავ, მეტეხს მიველუწე.
შევუთანხმე მტკვარს ცხოვრების ჯეზი.
თბილისია საქართველოს ფუძე,
მისი შნო და ფიქრთა ასპარეზი.

თბილისია ჩემი ფიქრის ბუდე,
სიხარული და ოცნების ჭერი,
მომეფერე, ჩრდილში მივეყუდე,
დამაყარე, რა სიამით ვმღერი!

თბილისი, მაისი, 1963 წ.

პოეტურ რთველში

ბიორგი ლეონიძე,

საქართველოს სახალხო პოეტი

ჩვენი შესანიშნავი პოეტი სიმონ ჩიქოვანი გახარებული დგას თავის ვენახში და ისთვლის პოეტურ რთველს.

მე, როგორც ამ ვენახის კეთილმეზობელი და მეგობარი, ვიზიარებ მისი ვაზის მტევანდასხმულობის დიდ სიხარულს და ამ დღეს სულითა და გულით ვულოცავ. მისი რთველი ხომ ჩვენი პოეტური მოსავლის საერთო ბარაქას ემატება. ვიცი, რომ პოეტმა არაფერი დაზოგა თავისი ვენახის აყვავებისა და დამტვრევებისათვის:

ჩემმ მამულო, მაჩუქე ნამი,
უშველე მინდვრად გამოსულ
მთესველს,
მტირალი მოველ მიწაზე ღამით
და მინდა მღერით ავიდე მთებზე.

ქართული საბჭოთა პოეზია, რომლის დამამშვენებელია ჩვენი იუბილარი, დიდი იდეების, დიდი პრობლემების პოეზიაა და სიმონ ჩიქოვანი მისი ერთგული მსედარი, თავდადებული მსაური და კულტურტრეგერია.

ჩიქოვანის პოეტური სიტყვა ყოველთვის მხარდამხარ მისდევს ეპოქის ნაბიჯებს. მის პოეზიაში უპირველესად ჩაქსოვილია საბჭოთა საქართველოს ფიქრები და ოცნებანი.

სიღრმე და სიმაღლე თავისი ერისა — მისი შთამაგონებელია ძმობისა და სიყვარულის ღაღადისთან ერთად:

აღბეჭდილი ვარ სიცოცხლე ერთი
თმოგვის ქვაზე და კოლხურ
გუთანზე...

ვის არ უყვარს მისი შესანიშნავი ლექსი:

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი.
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?

მისი „ქართლის საღამოები“, „თბილისის ჩუქურთმები“, „წინაპრები“ და, ბოლოს, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ — ეს დაღვენთილი წმინდა ცრემლი, — ჭეშმარიტად ჩვენი პოეზიის შედევრებია.

მისი ლექსები შექმნილია ღრმა განცდით, ღრმა აზრით, განცდის სიახლით. მისი ინდივიდუალური თვისება, ფერთა შეგრძნების უნარი, მახვილი თვალი, საკუთარი ტონი და სურნელი, მისი კოლორიტული სახეები, ფერწერული სურათები ახალი ქართული პოეზიის დიდი მონაპოვარია.

გაბედულ ოსტატს, შესანიშნავ მძერწავს, ფერთა მომღერალს სიმონ ჩიქოვანს დიდი დამსახურება მიუძღვის ახალი პოეტური კულტურის განვითარებაში.

სიმონ ჩიქოვანი

ბოლოს

ბოლოს ბოლოს ბოლოს ბოლოს
ბოლოს ბოლოს ბოლოს ბოლოს
ბოლოს ბოლოს ბოლოს ბოლოს

საერთაშორისო
დეკემბერი ცხრაკვეტი ბიულეტენი
ცხოვრება

მდგომარეობა თურქეთში

ბეირუთი, 25 მაისი. (საკადესი). თურქეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ანკარის სამხედრო ხელისუფლებამ აკრძალეს ყოველგვარი ცნობისა და ფოტოსურათის თუ კომენტარის გამოქვეყნება. რომლებიც თურქეთის ამასწინანდელ ამბებს შეეხება.

სტამბოლის ვილაიეთში საალყო წესებისათვის პასუხისმგებელი გენერლის იილმაზის ბრძანებით აკრძალულია კიდევ ორი გაზეთი — „ენი ისტანბული" და „სონ ბავადისი", რომლებმაც დაარღვიეს ბრძანება საალყო წესების შესახებ.

იზმირის სამხედრო ხელისუფლებამ გუშინ ბრძანება გამოსცეს, რომ აიკრძალოს ყოველგვარი კრება და დემონსტრაცია.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲥᲢᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 24 მაისი. (საკადესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგ პლენარულ სხდომაზე დღეს გრძელდებოდა დისკუსია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და განიარაღებას. პირველი გამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატი ჯ. მაკოვესკუ, რომელიც შეეხო ნატოს მონაწილე ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის პაქტის პროექტს, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა. მან ხაზგასმით აღნიშნა, კერძოდ, ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც საბჭოთა კავშირის ამ წინადადების განხორციელებას ექნება ომისათვის, რომ დამყარდეს მტკიცე მშვიდობა და წარმატებით გადაიჭრას თანამედროვეობის მთავარი პრობლემა — საყოველთაო და სრული განიარაღება. ამასთან რუმინეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავის დროზე დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმაც კი, კერძოდ, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა მოიწონეს ასეთი პაქტის დადების იდეა.

დღევანდელ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, პოლონეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲐ ᲮᲔᲚᲣᲤᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 მაისი. (საკადესი). დე-გოლის ხელისუფალნი ებრძვიან ხელყონ მუნიციპალიტეტის უფლებანი, თქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ მიტინგზე, რომელიც გუშინ გაიმართა ვინკენში (სამხრეთი საფრანგეთი). ხელისუფალთ სურთ მოსპონ მერთა პოსტები იმ კომუნებში, რომლთა მოსახლეობა 30 ათას კაცს აღემატება, და ამ კომუნების ფინანსური სახსრებისადმი კონტროლი გადასცენ სახელმწიფო მოხელეებს. ამ მოხელეებს, თქვა ჟაკ დიუკლომ, შეარჩევენ ხელისუფალნი ისე, რომ კონტროლს ვერ გაუწევს ხალხი. კომუნისტები მტკიცედ ილაშქრებენ ამგვარი პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც ართმევენ მოსახლეობას უფლებას გამოთქვას თავისი აზრი.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲬᲔᲕᲐ

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკადესი). არგენტინის რეკლამიის აძლიერებს არგენტინის პროგრესულ და დემოკრატიულ ძალთა დევნას. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონლის საააგენტო იუწყება, გუშინ გიდოს მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც კრძალავს არგენტინაში „ყოველგვარ კომუნისტურ საქმიანობას" და გასაასწლებით ემუქრება „უცხოური წარმოშობის კომუნისტებს".

ᲙᲣᲠᲓᲝᲒᲐ ᲡᲘᲢᲘᲨᲘ

ლონდონი, 25 მაისი. (საკადესი). გუშინ ლონდონის საფინანსო-სამრეწველო ცენტრ სიტიში მოიპარეს დიდძალი ოქრო.

სამი ნიღაბაფარებული განგსტერი დღისით-მზისით შეიჭრა პოლ-სტრიტის ერთ-ერთ ბანკის საცავში მას შემდეგ, რაც იქ მიიტანეს როტშილდის ბანკიდან 80 ოქროს ზოდი. ბანდიტებმა თავში ჩაარტყეს და დაარტიანეს პოლიციელი და გიიტაცეს დაახლოებით 280 ათასი გირვანქა სტერლინგის 40 ოქროს ზოდი. ისინი ჩასხდნენ ავტომანქანაში, რომელიც მათ ელოდებოდა. და გაუჩინარდნენ. პოლიცია აწარმოებს კვლევა-ძიებას.

ᲛᲐᲕᲜᲔ... ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲯᲐᲐᲑᲐ, 25 მაისი. (საკადესი). მედიკამენტების ნაკადი, რომლითაც აივსო პოლანდიის აფთიაქები, არ ყევს ხალხის ჯანმრთელობას. ასეთი დასკვნა გამოიტანა სამხრეთ ჰოლანდიის პროვინციის მედიკთა კონფერენციამ, რომელიც ქალაქ ალპენში გაიმართა.

ჰოლანდიის ფარმაცევტიული მრეწველობა უშვებს დაახლოებით 25.000 სხვადასხვა პრეპარატს, „საერთო ბაზრის" შეთანხმება კი ითვალისწინებს მედიკამენტების რიცხვის შემდგომ გადიდებას. მაგრამ ძალიან ხშირად პრეპარატებს ჰყიდიან ისე, რომ საკმაოდ არ არის შემოწმებული, თუ როგორ მოქმედებს ჯანმრთელობაზე, მათ გამოყენებას კი ხელს უწყობს უპასუხისმგებლო რეკლამა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა დაწესდეს კონტროლის მკაცრი ზომები მედიკამენტების წარმოებისადმი, და გაიწმინდოს ფარმაცევტული მრეწველობა დამწამავე ელემენტებისაგან, რომლებიც მდიდრდებიან მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲑᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ